



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030410053452616

№ 04-235/ა

17 / მაისი / 2016 წ.

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 11 მაისის N01/37066 (N04/35669 05.05.2016წ.) წერილის გათვალისწინებით, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განხორციელდეს „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლისთვის (შემდგომში – მიმწოდებელი) გადაცემული სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე დაწესებულებებში არსებული მარაგების შემოწმების მიზნით.

2. დამტკიცდეს მონიტორინგის აქტის ფორმა (დანართი N1).

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის სააგენტოს სახელით განხორციელების უფლება მიენიჭოთ:

ა) გვანცა ბერიძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს;

ბ) ქეთევან მერაბიშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს.

4. წინამდებარე ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა, ამავე პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება შესაძლებელია განახორციელონ როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად (ცალ-ცალკე).

5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მონიტორინგის პირობებს განსაზღვრავს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც, მოქმედი სამართლებრივი აქტების (პროგრამა და ა.შ) გათვალისწინებით, შემმოწმებლებს ან/და მათ უშუალო უფროს(ებ)ს აძლევს მითითებებს განსახორციელებელი მონიტორინგის თარიღის და მათი რაოდენობის (არაუმცირეს წელიწადში ერთხელ) შესახებ.

6. მონიტორინგის განმახორციელებელი ვალდებულია, შეადგინოს მონიტორინგის აქტი 2 ეგზემპლარად, ამავე ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის აქტის ფორმის შესაბამისად.


7. მონიტორინგის აქტის შემდგენი პირი ვალდებულია, მიმწოდებელი გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ აქტში დაფიქსირებული ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების რაოდენობა გათვალისწინებული იქნება მომდევნო საანგარიშო თვეში ანალოგიური საშუალებების მიწოდების დროს.

8. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მიმწოდებლებისათვის.

9. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გადაცემული სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების

მონიტორინგის აქტი № —

მონიტორინგის აქტის შედგენის თარიღი:

მონიტორინგის აქტის შედგენის ადგილი:

მონიტორინგის ჩამტარებელი პირ(ებ)ი:

მონიტორინგს ესწრებოდა:

მონიტორინგის საგანი:

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის გადაცემული სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე დაწესებულებებში არსებული მარაგების შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის ობიექტი:

ჰემოდიალიზი/ სახარჯი მასალა

N	დასახელება	რაოდენობა	მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 0.6-0.8 <30				
2	ა/ვ სისხლის მაგისტრალი (პედიატრიული)				
3	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 0.8-1.0 <30 /L100				

4	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 12-13 <30/ L120 or PL120 or BIO120				
5	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 12-13 >30 / H120,PH120,BIO120				
6	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 14-16 <30/ L140,PL140(160)Bio140 (160)				
7	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 14-16 >30/ H140,				
8	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 1.7-1.8 <30/L180				
9	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 1.7-1.8 >30/H180				
10	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 2.1-2.4 <30/L210				
11	დიალიზატორი სინთეზური მემბრანით ფართი 2.1-2.4 >30/H210				
12	ა/ვ სისხლის მაგისტრალი (2008FMC-4008FMC, FMC 5008, FMS5008S, Dialog+, Nikkiso,)				
13	ა/ვ ფისტულის საპუნქციე ნემსი 16G				
14	მჟავა-კონცენტრატი K2				
15	მჟავა-კონცენტრატი K3				
16	ნატრიუმის ბიკარბონატი (ფხვნილი)				
17	ნატრიუმის ბიკარბონატი Bbraun/nikkiso 650g				
18	ნატრიუმის ბიკარბონატი 4008FMC				
19	ნატრიუმის ბიკარბონატი 4008S classic basic				
20	აპარატის სადეზინფექციო ხსნარი/ლიმონმჟავა 50%				
21	წყლის დასარბილებელი გრანულირებული (ტაბლეტიზირებული) მარილი 25kg				

მედიკამენტები

ჰემოდალიზი/პერიტონეული დიალიზი

N	დასახელება	სავაჭრო დასახელება	რაოდენობა	სერია/ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	დაბალმოლეკულური ჰეპარინი					
2	არაფრაქციული ჰეპარინი					
3	ერიტროპოეტინი					
4	რკინის სუკროზა					

პერიტონეული დიალიზი/ სახარჯი მასალა*

N	დასახელება	რაოდენობა	მოქმედების ვადა	მწარმოებელი/ ქვეყანა	შენიშვნა
1	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
2	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
3	ხსნარი 2.0ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 3,86%, დექსტროზა 4,25%)				
4	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
5	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
6	ხსნარი 2.5ლ ჩამცლელი ჩანთით (გლუკოზა 3,86%				

	დექსტროზა 4,25%)				
7	ხსნარი 5.0 ლ (გლუკოზა 1,36% დექსტროზა 1,5%)				
8	ხსნარი 5.0 ლ (გლუკოზა 2,27% დექსტროზა 2,5%)				
9	აიკოდექსტრინი 7.5% 2.0ლ ჩამცლელით				
10	სადეზინფექციო თავსახური				
11	კათეტერის დამაგრძელებელი (გადამყვანი)				
12	პერიტონეული დიალიზის კათეტერი (Orepoulos Zelman)				
13	კათეტერის ადაპტორი				
14	გამომავალი მაგისტრალის ჩამკეტი				
15	მაგისტრალი ჩამცლელი ჩანთით (აპდ)				
16	კასეტა (აპდ)				

(*) ივსება მხოლოდ პერიტონეული დიალიზის მიმწოდებელი დაწესებულების შემთხვევაში

მონიტორინგის საფუძველი:

- „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის „ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების“ კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ” სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის — № —/ო ბრძანება

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა:

მონიტორინგის განმახორციელებელი

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

ბ.ა

პროგრამით გათვალისწინებული

მომსახურების მიმწოდებელი

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ბ.ა